სოლარისტი

მივდივარ გზაზე. ისეთზე, ყვავილებით მოპენტილზე კი არა, ასფალტზე მივაბიჯებ, შუაგზაზე, შუაღამისას და ისრებივით გასროლილი მანქანებიდან მძღოლები საზეიმო გინებით მიმაცილებენ. მე არ მეყურება, ჩემი ფიქრი მაქვს, მთებს გავყურებ. ტიანშანს, ცისფერ მთებს კი არა, მუგუზალივით შავ მთებს გავყურებ და არანორმალურივით ვიმეორებ სიტყვას: “დავკრიფო”.

აკვიატებების ადამიანი ვარ. ახლა ეს სიტყვა ამეკვიატა. წინაზე “ყავა” იყო. ეს ბანალურია. ადვილად მიხვდებით ოფისის ვირთხების კავალერიის ორდენის საპატიო წევრს ეს სიტყვა რატომ ამეკვიატებოდა. “დავკრიფო” ბევრად საინტერესოა. აბა, თუ იცით, რა უნდა დავკრიფო? საიდან გეცოდინებათ. თანაც გითხარით, შუაგზაზე მივდივარ, გარშემო ყვავილები არ არის- მეთქი. არც ხეხილია და არც გეთსიმანიის ბაღის ზეთისხილები. საგზაო განათებები უნდა დავკრიფო. ჩავალაგო კალათაში და წავუღო ამ შავ მთებში ჩაძირულ შავ დასახლებას. თუ რაღაც მომრჩა, შარავანდედიც შემოვივლო ამ ლამაზ თავზე. მეტი რა ვქნა. მეტი მართლაც რა ვქნა.

თუ სოფელს გავანათებ, განმანათლებელი არა, მაგრამ გამანათებელი მაინც ვიქნები. თანაც ხამს ჩემგან ამის ქმნა. როცა ნათელა გქვია, რაღაც ამგვარი მისია უკვე დაბადებით გერგება. უკვე დაწერილია, რომ უნდა ანათებდე მთასა თუ ბარში. ჰოდა, ასე. ერთბაშად მოვიბეზრე ოფისის ფრეონისსუნიანი წამპალი საქმე, ჩემი თანამშრომლების ყალბი ღიმილი, ბუღალტრების ანგარიშგებებივით დაბალანსებული კვებაცა და ცხოვრებაც და, რიგითი გელას აზრით სრულიად უმიზეზოდ, მაგრამ, ჩემი აზრით, კაი გვარიანი მიზეზებიანად წამოვედი სამსახურიდან. სოფელში უნდა ვიცხოვრო-მეთქი. რომელ სოფელშიო. გაუკვირდათ. არ ელოდნენ. მე კი ქალაქთან ახლოს, ჩემგან ვინ ჩივის და მთლად ღვთისგან მივიწყებული სოფელი მელოდებოდა.

იქ, სადაც ერთ დროს ბაბუამ ბებია გაიცნო. ჯერ რომ თონეში ჩააკრობინა პურები და შემდეგ უკვე მამაჩემი - აკვანში. ზუსტად ამ ბებიისა და ბაბუის ზანტი და დუნე ცხოვრება დასვენებაზე მეტად სასჯელი იყო პატარა ნათელასთვის.

ჩემი სახელიც, ნათელა, რომელიც ბავშვობაში ვერ შევიშნე და ნათიად ვაქციე, ბებიისგან მერგო მემკვიდრეობით.

სხვა, ნორმალური ბავშვებისგან განსხვავებით სკოლის დასრულება მძულდა. ვიცოდი, სოფლად უნდა ეკრათ თავი. მე კი ცივილიზაციისგან ასე შორს ყოფნა მტანჯავდა. მაშინ, როცა თანატოლები ბათუმის კაფეებში “მამბო N5”ს უსმენდნენ, მე ხის დაწნული ღობის კარის ღრჭიალი მესმოდა, რომლის ნაკვალევი მიწაზე საბჭოთა დროშის ცელს მოგაგონებდათ. მტანჯავდა ადგილი, სადაც ფეხით დატკეპნილი ბილიკი წლების განმავლობაში მხოლოდ მოხუცი წყვილის ნაფეხურებს ითვლიდა. სადაც მეზობლიდან მეზობლამდე ვირით უნდა წასულიყავი, თორემ შორი იყო. სადაც წყარო იყო სარკეცა და სასმელიც. სადაც საათი მზეზე და შინ დაბრუნებულ საქონელზე იყო გასწორებული.

მოკლედ, სოფლის პასტორალური რომანტიკა ჩემგან შორს იყო და არც მამაჩემის აკვანგამოვლილი, გაბრტყელებული კეფა მშველოდა იქაური ცხოვრების წესსა და რიგში რამე ხიბლი ან ხეირი დამენახა. ამიტომაც მუდამ კვერს ვუკრავდი ხოლმე დედაჩემის გონივრულ გადაწყვეტილებას, მამაჩემს მოგვიანებით მთლად გაშორებოდა და სოფლის ჟანგბადით

მდიდარი ჰაერის ნაცვლად ქალაქის ტყვიით მდიდარი ჰაერი ესუნთქებინა ჩემთვის ზამთარ-ზაფხულ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ასე და ამგვარად აღმოვჩნდი ქალაქური ცხოვრების ფერხულში ჩაბმული და ყველა საშუალოსტატისტიკური ქალაქელივით, ჯერ უნივერსიტეტი დავამთავრე, სამოქალაქო ინჟინერიის ფაკულტეტი და შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, მით უფრო ქალი ინჟინრების ცხოვრებაში, შემდეგი 10 წელი საკუთარი პროფესიით არც კი მიმუშავია. ძველი უბნის ყოჩისა და ცეხავიკის, აწ უკვე რესპექტაბელურ ბიზნესს შევაფარე თავის დროზე თავი და წამოსვლამდე მათი ამბების ჩარხვას ვუნდებოდი ოფისიდან გაუსვლელად.

მავანისთვის რომ გეკითხათ, ჩემს ბედს ძაღლი არ დაყეფდა. მაგრამ მე კი სულ ყეფა მესმოდა და რა გითხრათ. ასე რომ, სანამ არარსებული ყეფის სმენისდაგამო შიზოფრენიის დიაგნოზით ფსიქიატრიულში მიკრავდნენ თავს და თავად დასაწვენი ექიმები, მე- დაწვენილს, ცოტა ზემოდან, ვითამც მამა-შვილური მზერით გადმომხედავდნენ, იქამდე გავეცალე ქალაქის რიარიას.

ახლაც შარას ვადგავარ. მანქანები შემოიფანტნენ გარშემო. სოფლის გზაზე გადავედი. მთელი ღამე მივლია. ჟინი და სიახლე რაღაც დაუოკებელი ენერგიით შეგაფრთიანებს ხოლმე კაცს. ქალსაც. რახანია ეს არ მიგრძნია. რაღაც კარგის მოლოდინი მაქვს. მაგრამ ვხვდები - დავიღალე. თინეიჯერივით ავტოსტოპით ვაგრძელებ გზას და შუადღისას სოფელში ვარ უკვე. ჩავდივარ და მხვდება პოსტაპოკალიფსური სურათი. ადრეც არ ვყვარობდი ამ ადგილს, მაგრამ თვით ცნობილი “ხის მორის ბირჟა”, ზაფხულობით სოფელში ჩამოსული ავარა ბიჭების მიერ შესიყვარულებული სამასლაათოც რომ ცარიელი მხვდება, ვხვდები, რომ სრულიად დასაშვებია, მე ვიყო ამ მივიწყებული ადგილის პირველი ახალმოსახლე. ეს არ მაშინებს, პირიქითაც.

ეზოში ამოსულ მსხმოიარე ვაშლის ხეს გავყურებ და თავს ევად წარმოვიდგენ, რომელმაც უნდა შეიცნოს და სხვებსაც გააცნოს ახალი, ჭეშმარიტი-სინამდვილე. სოფლის ახალი სიცოცხლე! ჰო, ჰო რაღაცნაირი პოსტთრეშია ამხელა პათეტიკა, მაგრამ თან მომწონს, ჩამქრალ-მინავლებულ გულს მინთებს, ყმაწვილურ ჟინს მიკაჟებს. პირველ რიგში, მამაპაპისეულ სახლში შევდივარ. სახლში ელექტროენერგიაც კი აღარ არის. ყველა გამოსადეგი თუ გამოუსადეგარი ნივთი დაუძვრიათ და გაუზიდავთ ქურდბაცაცებს. ხელს გაუყოლებიათ. ჩაბნელებულ-ჩამოფხავებულია იქაურობა. თუმცა, გვერდზე ოთახში რაღაც მაინც ელვარებს. გავდივარ და ვხედავ, როგორ ხარბად ირეკლავს ძველი ტრილიაჟის სარკე მზეს. ლამისაა ამ პატარა სარკემ ამხელა მზე გადაყლაპოს, პირი უყოს და მთლიანად თავისთან დაიურვოს. თვალს მჭრის და ამავდროულად გონებას მინათებს.

მე - ნათელამ- უნდა გავანათო აქაურობა, შევასრულო დაბადებით ბოძებული კარმული მისია. მახსენდება ჩემი პროფესია-სამოქალაქო ინჟინერია, მახსენდება ჩემი სტუდენტობისდროინდელი, ჯერ კიდევ მითოლოგიზებული მზის პანელების პროექტი, რომელმაც საკურსო დამახურვინა, ვუყურებ გაბრდღვიალებულ სარკეს, ჰაერში ვხტები და ვყვირი:

მე ამისგან გავაკეთებ!